ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3064563

ნომერი: AR1472759

თარიღი : 24.01.2017

გაცემის თარიღი : 14.02.2017

გაცნობის თარიღი : 15.02.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვაზისუბნის , N 38 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვაზისუბანი , N 36 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ქურიძე პ/ნ 01024081271
- თბილისი ლუქსენბურგის ქ 25/36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 24 იანვრის #AR1472759 განცხადებით მომართა დავით ქურიძემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 13 მაისის #2554480 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 მაისის #2554480 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ვაზისუბნის, N38/ქალაქი თბილისი, ქუჩა ვაზისუბანი, N36, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.12.023.023), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 13 მაისიდან 2018 წლის 13 მაისის ჩათვლით.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ აქტში ცვლილების შეტანა. კერძოდ, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2016 წლის 13 მაისის #2554480 ბრძანებას დაემატოს 4.8 პუნქტი შემდეგი რედაქციით: „თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 მაისის #2/23242-2014 გადაწყვეტილების შეუფერხებელი აღსრულებისათვის წინამდებარე მშენებლობის ნებართვის მიმღები პირი ვალდებულია დააკმაყოფილოს სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნა, წინაარმდეგ შემთხვევაში, მისი შეუსრულებლობა გამოიწვევს 2016 წლის 13 მაისის #2554480 ბრძანების მოქმედების შეჩერებას“.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“. ამდენად, სასამართლოს აქტის აღსრულება ისედაც სავალდებულოა და ამ მიზნით სამსახურის 2016 წლის 13 მაისის #2554480 ბრძანებაში ცვლილების შეტანის საჭიროება არ არსებობს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, სამსახურის 2016 წლის 13 მაისის #2554480 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.